საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №196/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 26 ნოემბრის №196 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 7 თებერვლის №196/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის 14 სექტემბერს -- -- მიერ შეტანილ იქნა სარჩელი სასამართლოში, თუმცა ამ დრომდე საქმის განხილვა არ დასრულებულა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლის მხრიდან დარღვეულია კანონით განსაზღვრული განხილვის ვადა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბერს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხეების -- --,-- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ. სასარჩელო მოთხოვნა: თანხის დაკისრება (-- ლარი); დავალიანების დაფარვის მიზნით მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეთა საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაცია. მოსარჩელემ ასევე იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ (18.09.2017 წელს სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად).

15.09.2017 წლის განჩინებით -- -- განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა, ხოლო 2017 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2017 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხე, -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 15.09.2017 წ. განჩინებაზე, არ დაკმაყოფილდა და საჩივარი გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატას (27.10.2017-დან - 05.01.2018-მდე).

2017 წლის 2 ოქტომბერს მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელი, რომელიც ასევე მიღებულ იქნა განსახილველად. მოსარჩელემ ასევე იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე. 2017 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა -- -- მიერ 2017 წლის 10 ოქტომბერს.

2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხე, -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 02.10.2017წ. განჩინებაზე, არ დაკმაყოფილდა. საჩივარი გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატას. 16.11.2017 წელს მოსარჩელემ კვლავ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა. დაზუსტებული სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად.

ვინაიდან მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო სარჩელის ორი მოპასუხისათვის ჩაბარება, მან 18.01.2018 წელს იშუამდგომლა საჯარო შეტყობინების გზით მხარეებისათვის სარჩელის ჩაბარების თაობაზე (-- -- და -- --). მოსამართლემ კონკრეტული მოპასუხეებისათვის სარჩელის ჩაბარების საკითხი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად 2018 წლის 14 თებერვალს დაავალა უბნის პოლიციას. გამომდინარე იქიდან, რომ სარჩელი კვლავ ვერ ჩაბარდათ მხარეებს, მოსამართლემ 2018 წლის 5 დეკემბრის განჩინებით საჯაროდ გამოაქვეყნა იგი.

2018 წლის 12 დეკემბერს მოპასუხეებს სრულად ჩაბარდათ სარჩელი და დაზუსტებული სარჩელი.

მოსამართლემ 2019 წლის 5 მაისის განჩინებით, პირველი მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნა 2019 წლის 5 ივნისს. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სასამართლოს მხრიდან განხორციელდა არაერთი საპროცესო მოქმედება, უწყებების გაგზავნა მხარეთათვის, სხდომის შესახებ ინფორმირება სატელეფონო საშუალებით და ასევე მოხდა საჯარო შეტყობინების გზით მოპასუხეთათვის სხდომის თარიღის შეტყობინება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სხდომა გადაინიშნა 2020 წლის 22 იანვარს. სხდომის დღეს მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ იშუამდგომლა, რომელიც 23.01.2020 წლის განჩინებით დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შესაბამისად, სხდომა გადაიდო 2020 წლის 3 თებერვალს, რომლის შესახებ მხარეებს გაეგზავნათ უწყება, ხოლო რამოდენიმე მოპასუხეს ეცნობა საჯარო შეტყობინების გზით.

2020 წლის 3 თებერვლის სხდომაზე გამართული საქმის განხილვა შეკითხვების ეტაპიდან გადაიდო 2020 წლის 17 თებერვლის სხდომაზე.

2.2. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა 248 სარჩელი, საიდანაც დაასრულა 167 საქმე (67%); 2018 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ეწერა - 265 სარჩელი, საიდანაც დაასრულა - 173 საქმე (65%); ხოლო 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ეწერა - 432 სარჩელი, ხოლო ამათგან დაასრულა - 239 საქმე (55%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 7 თებერვლის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 26 ნოემბრის №196 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის ვ.ა. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს

ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის ვ.ა. („მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა") ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

უნდა აღნიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლი ადგენს ასევე დისციპლინური გადაცდომის არსებობისათვის სავალდებულო სხვა კუმულატიურ აბსტრაქტულ წინაპირობებს და მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ზოგად გარემოებებს. ამდენად, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადასტურებლად „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული წინაპირობების მიღმა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება." ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში განსაზღვრულია, თუ რას გულისხმობს კანონმდებელი ბრალის ფორმების, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ქვეშ. ამდენად, აღნიშნული წესი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოსამართლე -- -- გააჭიანურა საქმის განხილვა, დაარღვია საქმის განხილვის კანონით დადგენილი ვადები და ამით, ზიანი მიაყენა მხარეს.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის ვ.ა. ქვეპუნქტის შესაბამისად, „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამ ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო."

ამასთან, იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული საინტერესოა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, 150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;

3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, 93; Tierce and others v. San Marino, 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, 98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით მოსამართლემ უნდა განახორციელოს სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა, რათა შეამციროს ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს კონკრეტული საქმის სირთულე, საქმეზე მოსამართლისა და მხარეთა მიერ განხორციელებული მოქმედებები, ჩატარებული სხდომები და სხვადასხვა საპროცესო ღონისძიებები.

გამომდინარე იქიდან, რომ მოსამართლე -- -- იხილავს სამოქალაქო ტიპის დავებს, ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის 31-ე პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ რომ სარჩელი სასამართლოში დარეგისტრირდა 2017 წლის 14 სექტემბრიდან, ხოლო მოპასუხეთათვის როგორც ძირითადი, ასევე მოსარჩელის მიერ რამდენჯერმე დაზუსტებული სარჩელის ჩაბარება ყველა მოპასუხისათვის მოხერხდა 2018 წლის 12 დეკემბრისთვის. ამ პერიოდის განმავლობაში მოსარჩელემ ორჯერ დააზუსტა მის მიერ წარდგენილი სარჩელი, დააზუსტა ასევე მოპასუხეთა წრეც, რამდენჯერმე იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ღონისძიების გატარების თაობაზე, აღნიშნული განჩინებები გასაჩივრდა, ამდენად მოსამართლეს მოუწია მათზე მსჯელობა. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივით მოხდა საქმის მასალების გადაგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში (2 თვე), ხოლო საბოლოო ჯამში მოსარჩელემ ვერ შეძლო სრულყოფილად ჩაებარებინა მხარეთათვის სარჩელი, ასევე დაზუსტებული სარჩელები, რის შემდგომაც, სასამართლომ გამოიყენა მისთვის კანონით მინიჭებული უფლება და რამდენიმე მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარება დაავალა უბნის პოლიციას, რაც ასევე დაკავშირებულია ვადებთან, თუმცა ვინაიდან მოპასუხეთათვის კვლავ ვერ მოხერხდა გზავნილის გადაცემა, სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა და სარჩელი მხარეებს ჩააბარა საჯარო შეტყობინების გზით. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ეტაპიდან გახდა მოსამართლისათვის შესაძლებელი ჩაენიშნა სხდომა და არსებითად დაეწყო საქმის განხილვა.

საანგარიშო პერიოდში 2018 წლის 12 დეკემბრიდან - დღემდე, მართალია მოსამართლემ ჩაატარა ერთი მოსამზადებელი სხდომა, თუმცა როგორც ფაქტობრივ გარემოებებში არის ჩამოყალიბებული, სასამართლოს მხრიდან საჭირო გახდა მთელი რიგი საპროცესო მოქმედებების განხორციელება სხდომის მომზადების მიზნით, კერძოდ სასამართლო სხდომის თარიღის მხარეთათვის სატელეფონო გზით შეტყობინება, ასევე სასამართლო უწყებების მხარეთათვის გაგზავნა და საბოლოოდ საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების მიღება. ბუნებრივია აღნიშნული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისთვის საჭირო იყო გარკვეული ვადა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სხდომა გადაიდო 2020 წლის 22 იანვარს, ანალოგიური პროცედურების გატარების შედეგად საქმე მომზადდა სხდომისათვის, თუმცა ამ დღეს მოსარჩელემ იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რაც გახდა სხდომის გადადების მიზეზი და მოსამართლემ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამდენად, მოსამართლემ სხდომა გადადო 2020 წლის 3 თებერვალს. კონკრეტული სხდომა გაიმართა და შეკითხვების ეტაპიდან გადაიდო 2020 წლის 17 თებერვალს.

მნიშვნელოვანია ასევე ვიმსჯელოთ ამ პერიოდში მოსამართლე -- -- შვებულებასა და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდებზე. 2018 წლის შვებულებაში ყოფნის პერიოდი: - 26.03. – 12.04. (17 დღე). 12.08. -27.08. (15 დღე); 2018 წელი საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდი - 03.06. – 14.06. (11 დღე). 08.10. – 10.10. (2 დღე). *საერთო ჯამში მოსამართლის შვებულებასა და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდი შეადგენს 1 თვესა და 15 დღეს.*

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის წარმოებაში საქმე იხილება 1 წლის და 2 თვის განმავლობაში, რომელსაც აკლდება შვებულებასა და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდი, შესაბამისად განხილვის სრული ვადა შემცირდა 1 წელსა და 15 დღემდე.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ეწერა 248 სარჩელი, საიდანაც დაასრულა 167 საქმე (67%); 2018 წლის სტატისტიკური მონაცემებით განსახილველად ეწერა - 265 სარჩელი, საიდანაც დაასრულა - 173 საქმე (65%); ხოლო 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით განსახილველად ეწერა - 432 სარჩელი, ხოლო ამათგან დაასრულა - 239 საქმე (55%).

იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლემ საანგარიშო წლის განმავლობაში დაასრულა განსახილველ საქმეთა ნახევარზე მეტი, ამასთან მოსამართლის მიერ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით განხორციელდა არაერთი საპროცესო მოქმედება, ასევე კონკრეტული სამოქალაქო საქმე, განეკუთვნება ტექნიკურად რთული კატეგორიის დავას, ყოველივე აღნიშნული არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვიმსჯელოთ მოსამართლის მხრიდან კანონით დადგენილი ვადის განზრახ დარღვევაზე.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი

გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან - 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №196/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი